



282

საქართველოს სოც.



საზოგადოებრივი

# მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
სამშეთა მმართველობის გამოსცემა

1935 წ. აპრილის 10.

№ 19

მ შ ი ლ ი ს ი

## მ ი ნ ა ა რ ს ი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

118. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებათა შემუშავებისა, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ.

ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელების მიწათმოწყობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წ. თებერვლის 17-ს დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-11 კარის შესახებ მისად.

119. სასოფლო-სამეურნეო არტელების მიწათმოყობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

118. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

357.35  
325  
354

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლმეურნეობების მიერ სასოფლო სამეურნეო არტელების წესდებათა შემუშავებისა, განხილვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ.

### I.

კოლმეურნეობების მიერ საკოლმეურნეო კომლთა პირად სარგებლობაში გაშოსაცოფ საკარმიდამო მიწების ოდენობის შესახებ.

1. რადგან დასავლეთ საქართველოს მეტწილ რაიონებში საკოლმეურნეო კომლების თვალსაჩინო რაოდენობას პირად სარგებლობაში აქვს საკარმიდამო მიწები 1 ჰექტარის ოდენობით და მეტი, რაც ხუტორული ტიპის დასახლებით აიხსნება, და ვინაიდან ამ მიწებზე უმთავრესად გაშენებულია მრავალწლოვანი



ნარგავები (ციტრუსები, ხეხილი, ვენახი და სხვ.), საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში გამოსაყოფი საკარმიდამო მიწის ოდენობა განისაზღვროს 0,25 ჰექტარიდან 1 ჰექტარამდე შემდეგი რაიონებისათვის: ვაგრის, გულაუთის, სოხუმის, კოდორის, გალის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკის, აბაშის, მარტვილის, სამტრედიის, ხონის, ლანჩხუთის, ვანის, ქუთაისის, მახარაძის, ჩონატაურის, ფოთის, გორის, ხაშურის და კასპის რაიონებისათვის.

2. საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში გამოსაყოფი საკარმიდამო მიწის ოდენობა განისაზღვროს 0,25 ჰექტარიდან 0,75 ჰექტარამდე შემდეგი რაიონებისათვის: სტალინირის (სამხრეთ-ოსეთი), ჭიათურის, ბაღდადის, ტყიბულის, ჩხარის, ქობულეთის, ბათომის, ქედის, ხულოს, ზესტაფონის, ხორაგოლის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, გურჯაანის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, ტფილისის, ახალციხის, ყარაიას, წალკის, დუშეთის, აღბულახის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის, თიანეთის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის და ზნაურის რაიონებისათვის და ლენინგორის და ბორჯომის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის.

3. საკოლმეურნეო კომლებს, რომელთაც აქვთ საკარმიდამო მიწები: ერთ ჰექტარზე მეტი—პირველი ჯგუფის რაიონებში და 0,75 ჰექტარზე მეტი—მეორე ჯგუფის რაიონებში, ამ ნორმის ზედმეტი მიწა უნდა ჩამოეჭრათ; ჩამოჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ.

ყველა საკოლმეურნეო კომლს, რომლის საკარმიდამო მიწა 0,25 ჰექტარზე ნაკლებია, უფლება აქვს მიიღოს 0,25 ჰექტარამდე იმ მეურნეობებისაგან ჩამონაჭერი მიწიდან, რომელთაც აქვთ დაწესებულ უმაღლეს ნორმაზე მეტი საკარმიდამო მიწა, აგრეთვე სოფლად არსებული, ამჟამად გამოუყენებელი საკარმიდამო მიწებიდან.

დაწესდეს, რომ საკოლმეურნეო კომლებისათვის საკარმიდამო მიწების მიზომვა განსაზოგადოებული ვენახებიდან, ბაღებიდან და სხვა მრავალწლოვან ნარგავებიდან ყოვლად შეუწყნარებელია.

4. განიმარტოს, რომ საკარმიდამო მიწების ზღვრულ ოდენობაში შედის ბოსტნები, მრავალწლოვანი ნარგავები, როგორც არის: ხილის ბაღი, ციტრუსები, ვენახი, აგრეთვე ლელიანი ნაკვეთი, რომელაც იძლევა სახურავ მასალას (საისლე), საკარმიდამო ტყე და დაუპუშავებელი მწვანიანი ეზო (კოლინდარი), საცხოვრებელი შენობებით დაჭერილი მიწების ჩათვლელად.

## II.

კოლმეურნეობებისათვის მიწის მუდმივი სარგებლობის შესახებ სახელმწიფო აქტების მიცემის ვადები.

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს კოლმეურნეობათა მაწათსარგებლობის საზღვრების აღ-

ნიშვნა რუკაზე და კოლმეურნეობებისათვის მიწის მუდმივი სარგებლობის შესახებ სახელმწიფო აქტების მიცემა 1935 წლის განმავლობაში იმ რაიონებში, სადაც კოლექტივიზაციით მოცვა 50 პროცენტს აღემატება, სახელდობრ: ხაშურის, გორის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყარაიას, ბორჩალოს, ქუთაისის, სამტრედიის, თბილისის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, მახარაძის და ლანჩხუთის რაიონებში. დანარჩენ რაიონებში კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის საზღვრების აღნიშვნა რუკებზე და კოლმეურნეობებისათვის მიწის მუდმივი სარგებლობის შესახებ სახელმწიფო აქტების მიცემა დამთავრებულ იქნას 1936 წლის განმავლობაში.

2. დავეალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) განსაზღვროს მიწათმოწყობის სამუშაოთა საკალენდრო ვადები ყოველი რაიონისათვის ცალკეულად;

ბ) გაგზავნოს რაიონების და კოლმეურნეობების დასახმარებლად რუკაზე საკოლმეურნეო მიწების საზღვრების აღნიშვნის სამუშაოთა შესრულებისათვის, მ 60 მიწათმოწყობის გარდა, რომელნიც უკვე იმყოფებიან რაიონებში მუდმივ სამუშაოზე, დამატებით 150 კაცი, მათ შორის 75 კაცი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემიდან, 20 კაცი მიწათმოწყობის ტექნიკუმიდან და 55 მიწათმოწყობი სხვადასხვა ორგანიზაციიდან მობილიზაციის წესით;

გ) მოაწყოს რაიონებში მოკლევადიანი კურსები კოლმეურნეთაგან მიწათმოწყობ ტექნიკოსების მოსამზადებლად 7.000 კაცის რაოდენობით;

დ) შეამოწმოს ყველა საბჭოთა მეურნეობის მიწათსარგებლობა და, საჭიროა მეურნეობების მიწებიდან 1935 წელს კოლმეურნეობებისათვის უკვე გააცემული 8.000 ჰექტარის გარდა, დამატებით გამოარკვიოს ის მიწები, რაც მკარად ზედმეტია და არ შეიძლება ათვისებულ იქნას საბჭოთა მეურნეობებისაგან; ეს მიწები გადასცეს კოლექტიურ მეურნეობებს.

ამასთანავე, დაწესდეს, რომ ადგილობრივი რაიონული მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობებიდან, რომლებიც ადგილობრივი ორგანოების—კოოპერატიულ ორგანიზაციების, მილიციის, აღმასრულებელი კომიტეტების და სხვ., განმგეობაშია, ზედმეტი მიწის ჩამოჭრის საკითხს სწყვეტენ რაიონული კომიტეტები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები;

ხოლო ტრესტებად გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობებისათვის მიწის ჩამოჭრის საკითხს სწყვეტენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო: რესპუბლიკური საბჭოთა მეურნეობების მიმართ—საბოლოოდ, ხოლო იმ საბჭოთა მეურნეობების მიმართ, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან საკავშირო ორგანოებს (ჩაის, ლიმონ-მანდარინის და სხვ.),—სათანადო საკავშირო ორგანოებთან შეთანხმებით;

ე) კოლმეურნეობათა მიწების საზღვრების რუკებზე აღნიშვნის სამუშაოებში ჩატარების პროცესში გამოარკვიოს ერთპიროვნულ მეურნეობათა ზედმეტი



მიწები, რაც მათ არ აუთვისებიათ, და გადასცენ ეს მიწები კოლმეურნეობებს, აგრეთვე გადასცენ კოლმეურნეობებს იმ პირთა სარგებლობაში ქონებული ყველა მიწა, რომელთაც ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში კავშირი გაწყვეტეს სოფლის მეურნეობასთან და ამ მიწებს ამუშავებენ დაქირავებული შრომით.

3. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში რუკებზე კოლექტიური მეურნეობების მიწათა საზღვრების აღნიშვნის სამუშაოს ჩატარების დროს თავიდან აცილებულ იქნას ხარვეზიანობა და მრავალნაკვეთიანობა; ხოლო შეიძლება საკოლმეურნეო მიწების გამოყოფა რამდენიმე მასივად იმ შემთხვევაში, როცა ეს დამოკიდებულია თვით კოლმეურნეობის სამეურნეო პირობებზე (სარწყავი და ურწყავი მიწები, რელიეფის პირობები: ტყე, მთა, მდინარე და სხვ.).

4. გამონაკლისის სახით შეიძლება მრავალნაკვეთიანობა კოლექტიურ მეურნეობათა მიწათსარგებლობაში დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც ეს ნამდვილად გამოწვეულია ხუტორული ტიპის დასახლებით.

5. განემარტოთ სამიწათმოქმედო ორგანოებს, საოლქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ არ შეიძლება მრავალწლოვან ნარგავთა (ვენახები და ხილის ბაღები) ერთიან მასივებში მოქცევა ერთპიროვნულ მეურნეებთან და კოლმეურნეებთან გაცვლა-გამოცვლით.

### III.

საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-5 პუნქტთან შესაბამისად:

1. რაიონთა პირველ ჯგუფს, რომელშიაც ყოველ საკოლმეურნეო კომლს შეუძლია პირად სარგებლობაში იყოლიოს 1 ძროხა ან ფურკამეჩი, 2-მდე მოზარდი რქოსანი პირუტყვი, 1 დედაღორი ნამატით ან, თუ კოლმეურნეობის გამგეობა საჭიროდ დაინახავს, 2 დედაღორი ნამატით, 10-მდე ცხვარი და თხა ერთად, ფრინველი და შინაური კურდღელი განუსაზღვრელი რაოდენობით და 20-მდე სკა, მიეკუთვნოს შემდეგი რაიონები:

ხაშურის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით),  
 გორის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით),  
 კასპის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით),  
 გურჯაანის (იორ-მულანლოს სასოფლო საბჭოს გამოკლებით),  
 თელავის (თუშთა და მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით)  
 ყვარლის (ლეკთა სოფლების გამოკლებით),  
 ლაგოდეხის (კაბალის და ფონის სასოფლო საბჭოების გამოკლებით),  
 ტფილისის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით),

საგარეჯოს (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით),  
 ქუთაისის,  
 სამტრედიის,

ზონის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით),  
 ვანის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით),  
 ბაღდადის (ზეკარის უღელტეხილთან მდებარე სოფლების გამოკლებით),  
 ზესტაუნის,

ჩხარის,  
 ქიათურის,  
 ხორავოლის,  
 ტყიბულის,  
 ამბროლაურის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით).  
 მახარაძის,

ლანჩხუთის და  
 ჩოხატაურის (მეცხოველეობის მაღლობი სოფლების გამოკლებით).

ნება დაერთვას ამ რაიონთა საკოლმეურნეო კომლებს დამატებით იყო-  
 ლიონ პირად სარგებლობაში 1 ცხენი ან 2 სახედარი, ან და 2 ჯორი.

2. რაიონთა მეორე ჯგუფს, რომელშიაც ყოველ საკოლმეურნეო კომლს  
 შეუძლია პირად სარგებლობაში იყოლიოს 2-3 ძროხა, ან ფურკამეჩი, გარდა  
 ამისა, მოზარდი პირუტყვი, 2-დან 3-მდე დედალორი ნამატი, 20-დან 25-მდე  
 ცხვარი და თხა ერთად, ფრინველი და შინაური კურდღელი განუსაზღვრელი  
 რაოდენობით და 20-მდე სკა, მიეკუთვნოს შემდეგი რაიონები და სოფლები  
 განვითარებული მეცხოველეობით:

ახალქალაქის,  
 ბოგდანოვკის,  
 სიღნაღის,  
 ბორჩალოს,  
 ყარაიას,  
 ლუქსემბურგის,  
 აღბულახ მანგლისის რაიონის დაბლობი ნაწილი,  
 ცაგერის,

აბაშის,  
 სენაკის,  
 მარტვილის,  
 ზუგდიდის,  
 ხობის რაიონები,

ლაგოდეხის რაიონის კაბალის და ფონის სასოფლო-საბჭოები;  
 აფხაზეთის ასსრ-ის რაიონები,  
 ხაშურის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 კასპის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,

გორის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 ტფილისის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 საგარეჯოს რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 ვანის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 ხონის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 ამბროლაურის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 გურჯაანის რაიონის იორ-მულანლოს სასოფლო-საბჭო,  
 ჩხოროწყუს,  
 წალენჯიხის,  
 ფოთის რაიონები,

აღდადის რაიონის სოფლები, რომლებიც ზეკარის უღელტეხილთან მდებარეობენ,  
 ჩოხატაურის რაიონის მეცხოველეობის მაღლობი სოფლები,  
 აქარისტანის ასსრ-ის ბათომის, ქობულეთის და ქედის რაიონები.

ნება დაერთვას ამ რაიონთა საკოლმეურნეო კომლებს პირად სარგებლო-  
 ბაში დამატებით იყოლიონ 1 ცხენი და 1 სახედარი ან 1 ცხენი და 1 ჯორი.

8. რაიონთა მესამე ჯგუფს, რომელშიაც ყოველ საკოლმეურნეო კომლს  
 შეუძლია პირად სარგებლობაში იყოლიოს 4-დან 5-მდე ძროხა ან ფურკამეჩი  
 და, გარდა ამისა, მოზარდი საქონელი 30-დან 40-მდე ცხვარი და თხა ერთად,  
 2-დან 3-მდე დედალორი ნამატი, ფრინველი და შინაური პირუტყვი განუსა-  
 ზღვრელი რაოდენობით და 20-მდე სკა, მიეკუთვნოს შემდეგი რაიონები:

ბორჯომის,

თელავის რაიონის თუშთა სოფლები და მაღლობი ნაწილები,

დუშეთის,

ყვარლის რაიონის ლეკთა სოფლები,

თიანეთის,

ყაზბეგის,

სამხრეთ-ოსეთი,

ჩოლურის,

ზემო-სვანეთი,

აქარისტანის ასსრ-ის ხულოს რაიონი, აგრეთვე მომთაბარე ხიმშილები და  
 ქუროთები,

ადიგენის,

ონის,

ბაშკიჩეთის,

წალკის,

აღბულახ-მანგლისის რაიონის მაღლობი ნაწილი,

ახალციხის,

ასპინძის რაიონები.

ნება დაერთვას ამ რაიონთა საკოლმეურნეო კომლებს პირად სარგებლო-  
 ბაში დამატებით იყოლიონ 1 ცხენი და 2 სახედარი ან 1 ცხენი და 2 ჯორი.

შენიშვნა. ღუშეთის, ყაზბეგის და თიახეთის რაიონებში, რაიონის თუ შთა სოფლებში და აგრეთვე აჭარისტანის ასსრ-ის მომთაბარე ხიმშილთა შორის საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში შეიძლება იყოს 80-მდე ცხვარი და თხა ერთად.

## IV.

სანიმუშო წესდების IV კარის მე-9 პუნქტის დამატებათა შესახებ.

ჩრევა მიეცეს სასოფლო-სამეურნეო არტელებს დამატებით შეიტანონ წესდებაში, ადგილობრივ თავისებურებათა მიხედვით, არტელის და გამგეობის შემდეგი მოვალეობანი: ჩაის პლანტაციებისა, ციტრუსების და ხილის ბაღებისა, ვენახებისა, დაფნისა, ტუნგოს და სხვა მრავალწლოვანი ნარგავთა და სანერგეთა გაშენება; მინდვრების გაწმენდა სიმინდის ღეროებისაგან, ჩაის პლანტაციებისა, ციტრუსებისა და ხილის ბაღებისა, ვენახებისა და სხვა მრავალწლოვანი ნარგავებისა, აგრეთვე თამბაქოს, ბაღების, ბოსტნების და კარტოფილის თავის დროზე და კარგად მწყრივთაშორისო დამუშავება; ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების და სხვა მისთ. თავის დროზე შეწამლვა; სარწყავ ნაგებობათა დაცვა და გაწმენდა; მრავალწლოვანი კულტურათა საუკეთესო ნერგების აღმოცენება და შერჩევა გასაშენებლად; მყნობელ-მოთმკულირებელთა, მრწყველთა და მელიორატორთა მომზადება; სოფლის ქუჩების გასწვრივ თუთის, ევკალიპტის, ტუნგოს, დაფნის, კაკლის და სხვა ხეხილის და დეკორაციული მცენარეების დარგვა; არტელის წევრებისათვის ხელშეწყობა საკარმიდამო მიწებზე ძვირფასი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებაში, როგორცაა: ციტრუსები, ტუნგო, ევკალიპტი, ხეხილი, თუთის და კაკლის ხეები.

## V.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ კოლმეურნეობების წესდებათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

1. დივალოს საოლქო და რაიონულ პარტორგანიზაციებს, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს უზრუნველყონ საქართველოს კოლმეურნეობების მიერ თავი ნათ წესდებათა გულდასმით განხილვა, განხილვა და მიღება არტელის სასოფლო-სამეურნეო სანიმუშო წესდების საფუძველზე, რისთვისაც გაიგზავნონ კოლმეურნეობების გამგეობათა დასახმარებლად რაიონის ხელმძღვანელი მომუშავენი.

მოეწყოს წესდების, აგრეთვე შეტანილ ცვლილებათა და დამატებათა განხილვა ისე, რომ დაწვრილებითი განმარტების გარეშე არ დარჩეს წესდების განხილვის პროცესში აღძრული არც ერთი საკითხი.

განემართოს საოლქო კომიტეტებს და სახკომსაბჭოებს, რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ კოლმეურნეობების მიერ მიღებულ წესდებათა რეგისტრაცია არ არის ტექნიკური საქმე, და რომ საბოლოო რეგისტრაციისათვის საჭიროა ყურადღებით განხილულ იქნას კოლმეურნეობის ყოველი წესდება ცალკე რაიონული კომიტეტის ბიუროს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე; ამასთანავე, არ შეიძლება ისეთი წესდების რეგისტრაცია, რომელიც ეწინააღმდეგება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების საფუძველებს, მაგალითად, რეგისტრაცია ისეთი წესდებისა, რომელიც ითვალისწინებს საკარმიდამო მიწის მეტის-მეტად მცირე ან დიდ ოდენობას, პირად სარგებლობაში მყოფი საქონლის რაოდენობას და სხვ.

2. წინადადება მიეცეს ყველა საოლქო კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს, რაიონულ კომიტეტს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს მთელ მუშაობას კოლმეურნეობებში მიწათმოყვობის ჩატარებისა, რუკებზე საკოლმეურნეო მიწების საზღვრების აღნიშვნისა, კოლმეურნეობებისათვის მიწის მუდმივი სარგებლობის სახელმწიფო აქტების მიცემისა და საკოლმეურნეო კომლებისათვის საკარმიდამო მიწების გამოყოფის სფეროში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული ყველა ღონისძიების წესიერად და თავის დროზე ჩატარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება პერსონალურად საოლქო კომიტეტების მდივნებს და სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, რაიონული კომიტეტების მდივნებს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ „წესდებათა რეგისტრაციის სარაიონო დავთარი“. დადგენილ იქნეს, რომ წესდების ტექსტზე წესდების რეგისტრაცია აღინიშნება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგის ხელმოწერით.

საქ. სსრ ს.კ.ს.ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ.-ის მდივანი ლ. ბერიძე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 115 №-ში 1935 წ. მაისის 18.

## 120. დადგენილება ს.კ.ს.

კაქუტა 1935-28

სასოფლო-სამეურნეო არტელების მიწათმოწყობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელების მიწათმოწყობის შესახებ, რომელიც შედგენილია დამკვერელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისაგან მიღებული და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წ. თებერვლის 17-ს დამტკიცებული, სასოფლო-სამეურნეო არტელების სანიმუშო წესდების მეორე კარის შესაბამისად.

2. ამა ინსტრუქციის გამოქვეყნებისათანავე გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან გამოცემული და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ყველა ინსტრუქცია მიწათმოწყობის საკითხების შესახებ და ამ ინსტრუქციების დამტკიცება, სახელდობრ:

ა) 1932 წ. თებერვლის 28-ის ინსტრუქცია—კოლექტიური მეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიწათმოწყობისა და ტექნიკური ნაკვეთების გამოყოფის შესახებ;

ბ) 1933 წლის ტექნიკური ინსტრუქცია—თესლობრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით კოლექტიური მეურნეობების მიწების მოწყობის შესახებ;

გ) 1933 წ. ივლისის 13-ის ინსტრუქცია—საწარმოო ბრიგადებისათვის თესლობრუნვის მინდვრებში ნაკვეთების მიჩენის შესახებ;

დ) 1933 წლის ტიბური თესლობრუნვის მე-IV კარის ის ნაწილი, რომელიც ეხება კოლექტიური მეურნეობების მოწყობას თესლობრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მისცეს იმ რაიონებს, რომლებშიაც მიმდინარე წელს მიწათმოწყობის სამუშაოები არ იქნება ჩატარებული, დამატებითი მითითებანი იმ სამიწათმოწყობო სამუშაოების ჩატარების შესახებ, რაც დაკავშირებულია ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელების მოწყობასთან და, ახალი წევრების შესვლის გამო, არსებული სასოფლო-სამეურნეო არტელების გაფართოებასთან, აგრეთვე მითითებანი საკარმიდამო მიწების გამოყოფისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ივნისის 7. № 727.

ტფილისი.

ი ნ ს ტ რ უ ძ ც ი ა

სასოფლო-სამეურნეო არტელების მიწათმოწყობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წ. თებერვლის 17-ს დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-II კარის შესაბამისად.

I. სასოფლო-სამეურნეო არტელის მინდვრის ნაკვეთების მოწყობა

1. ყველა მიჯნა, რაც არტელის წევრთა მიწის ნაკვეთებს წინაღობას უწევს, ერთისაგან ჰყოფდა, ისობა, და მინდვრის ყველა ნაკვეთი იქცევა მიწის ერთიან მასივად, რომელიც იმყოფება არტელის კოლექტიურ სარგებლობაში.

2. მიწა, რომელიც არტელს უჭირავს (ისე, როგორც ყოველგვარი სხვა მიწა საბჭოთა კავშირში), არის საერთო სახალხო სახელმწიფოებრივი საკუთრება. იგი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს კანონების თანახმად, არტელს ჩაჰბარდება უფადო სარგებლობისათვის, ე. ი. სამუდამოდ, და არ შეიძლება მისი არც ყიდვა-გაყიდვა, არც არტელის მიერ იჯარით გაცემა.

3. საკოლმეურნეო წარმოების უკეთესი ორგანიზაციისათვის მინდვრის ყველა ნაკვეთი, რაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სარგებლობაში იმყოფება, თავმოყრილ უნდა იქნას მიწის ერთიან მასივად იმ ანგარიშით, რომ ამასთან არავითარი ხარვეზიანობა არ იყოს.

**შენიშვნა 1.** სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწების რამდენიმე მასივად თავმოყრა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამოწვეულია თვით კოლმეურნეობის სამეურნეო ინტერესებით (სარწყავი და ურწყავი მიწების არსებობა, დასეტყვის საშიშროება, რელიეფის პირობები ტყე, მთები, მდინარეები და სხვა).

**შენიშვნა 2.** დასაუღეთ საქართველოს რაიონებში, გლეხურ მეურნეობათა დასახლების ხუტორულ ტიპთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის ხარვეზიანობის სრულ ლიკვიდაციას, შეიძლება ხარვეზია ნობა და მრავალნაკვეთიანობა სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათსარგებლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნამდვილად გამოწვეულია გლეხურმეურნეობათა დასახლების პირობებით.

4. ხარვეზიანობის მოსპობასთან ერთად უნდა აღმოიფხვრას აგრეთვე ნაკვეთების გაფანტულობა, ერთმანეთში შექრა, ვიწრონაკვეთიანობა, გრძელნაკვეთიანობა, ნაკვეთების სიშორე და საზღვრების უსწორმასწორობა.

5. კოლმეურნეობის ფაქტური მიწათსარგებლობის გამორკვევის შედეგად ხარვეზიანი ნაკვეთები უნდა შეუერთდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის ძირითად მასივს.



იმ კოლმეურნეობებში კი, სადაც თესლბრუნვა უკვე შემოდებულია, ხარვეზიანი ნაკვეთების თავმოყრის შედეგად, ფართობები უნდა შეუერთდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის თესლბრუნვის მასივებს.

6. შემდეგში, სასოფლო-სამეურნეო არტელში ახალ წევრთა შესვლისას, მიწების მიზომვა ხდება კოლმეურნეობების ერთიან მასივზე ამ მასივის მომიჯნე საუკეთესო და მოხერხებულად მდებარე მიწების ხარჯზე, ისე რომ ხარვეზიანობა არ იყოს.

7. სასოფლო-სამეურნეო არტელზე მიმაგრებული მიწების შემცირება არ შეიძლება. შეიძლება მხოლოდ მათი გიდიდება ისეთი მიწების ხარჯზე, როგორცაა:

- ა) სახელმწიფო ფონდის თავისუფალი მიწები,
- ბ) გადაშენებულ კომლთა მიწები,
- გ) ერთპიროვნულ მეურნეთა მიწები, რაც ათვისებული არ არის მათ მიერ,

დ) იმ პირთა მიწები, რომელთაც გაწყვეტილი აქვთ კავშირი სოფლის მეურნეობასთან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, და ამ მიწებს ამუშავებენ დაქირავებული შრომით; ამასთან ასეთ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო არტელს გადაეცემა, როგორც სახნავი მიწები, ისე საკარმიდამო ნაკვეთები, გარდა საცხოვრებელი ნაგებობებით დაკავებული მიწისა მცირე ეზოთი.

**შენიშვნა.** აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელნიც იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში და აგრეთვე მ/გ. მილიციის რიგებში, იმყოფებიან არჩევით თანამდებობებზე მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებით, მოწაფეებზე და აგრეთვე ინვალიდებსა, პენსიონერებსა, ქვრივებსა და ობლებზე, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფლის მეურნეობასთან და მუდმივად სოფლად ცხოვრობენ.

8. აკრძალულია არტელიდან გასული წევრებისათვის მიწის მიცემა არტელის მიწის ფართობის ხარჯზე.

არტელიდან გასულებს მიწა შეუძლიანთ მიიღონ მხოლოდ სახელმწიფო ფონდის თავისუფალი მიწებიდან.

9. არ შეიძლება წრავალწლიანი ნარგავების (ვენახები და ხეხილის ბაღები) ერთიან მასივად თავმოყრა ერთპიროვნულ მეურნეობთან და კოლმეურნეობთან მათი გაცვლის გზით.

**II. საკოლმეურნეო კომლთა საკარმიდამო მიწების შესახებ.**

10. განსაზოგადოებული მიწებიდან თითოეული საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში გამოიყოფა მცირე ნაკვეთი საკარმიდამო მიწის სახით. საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო მიწებად ითვლება ნაკვეთები, რაც უჭირავს ბოსტნებს, ბაღებს, მრავალწლიან ნა-

რგავეებს (ხეხილის ბალები, ვენახები, ციტრუსები), და აგრეთვე ისლის ნაკვეთები რაც იძლევა შენობების სახურავ მასალას („საისლე“), საკარმიდამო ტყე და, დამუშავებული მწვანე ეზო („კოლინდარი“).

11. საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში გამოყოფილი საკარმიდამო მიწის ზომა (გარდა საცხოვრებელი ნაგებობებით დაკავებული მიწისა) განისაზღვრება  $\frac{1}{4}$  ჰექტარიდან 1 ჰექტარამდე შემდეგი რაიონებისათვის: ვაგრის, გულაუთის, სოხუმის, კოდორის, ვალის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხორწყუის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, სამტრედიის, ხონის, ლანჩხუთის. ვანის, ქუთაისის, მახარაძის, ჩხატაურის, ფოთის, გორის, ხაშურის, კასპის.

12. საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში გამოყოფილი საკარმიდამო მიწის ზომა (გარდა საცხოვრებელი ნაგებობებით დაკავებული მიწისა) განისაზღვრება  $\frac{1}{4}$  ჰექტარიდან  $\frac{3}{4}$  ჰექტარამდე შემდეგი რაიონებისათვის: სტალინირის (სამხრეთ-ოსეთი), ქიათურის, ბაღდადის, ტყიბულის, ჩხარის, ქობულეთის, ბათუმის, ქედის, ხულოს, ზესტაფონის, ხორაგოულის, ცაგერის, ამბროლაურის, ლუქსემბურგის, სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის. ლაგოდეხის, ტფილისის, ყარაიას, ბორჩალოს, წალკის, აღბულახ-მანგლისის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის, თიანეთის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, რაიონებისათვის ზნაურის, და ლენინგორის, ბორჯომის, დუშეთის, ქვემო-სვანეთის და ონის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის.

13. მთავორიანი რაიონებისადვის, როგორცაა: ყაზბეგის, ჯავის, ზემო-სვანეთის, რაიონები, და აგრეთვე ლენინგორის, დუშეთის, ბორჯომის და ონის რაიონების მთავორიან სოფლებისათვის, სახნავი მიწები, რომელთაც უქთაურესად საკარმიდამო ხასიათი აქვთ და წვრილ ნაკვეთებად მაღალი მთების ფერდობებზე არიან გაფანტული, რჩებიან საკოლმეურნეო კომლის პირიდ სარგებლობაში.

14. საკოლმეურნეო კომლებში, რომელთა საკარმიდამო ნაკვეთები აღემატება 1 ჰექტარს პირველი ჯგუფისათვის და  $\frac{3}{4}$  ჰექტარს მეორე ჯგუფისათვის, მიწის ზედმეტი ფართობი ამ ნორმებთან შედარებით უნდა ჩამოიჭრას; ამასთანავე მიწის ჩამოჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ.

ყველა საკოლმეურნეო კომლს, რომლის საკარმიდამო ნაკვეთი ნაკლებია  $\frac{1}{4}$  ჰექტარზე, უფლება აქვს მიიმატოს ფართობი  $\frac{1}{4}$  ჰექტარამდე იმ მეურნეობათაგან ჩამოჭრილი მიწების ხარჯზე, რომელთა მიწებიც დაწესებულ ზედა საზღვარს აღემატება, და აგრეთვე ამჟამად სოფლად არსებულ, გამოუყენებელ საკარმიდამო მიწების ხარჯზე.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საკოლმეურნეო კომლებისათვის საკარმიდამო მიწების მიცემა განსაზოგადოებული ვენახებისა, ბაღებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ფართობებიდან.

15. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-II კარის შესაბამისად, ყოველი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში აღებული საკარმი-

დამო მიწის ზომებს, მხოლოდ იმ ნორმების ფარგლებში, რაც დაწესებულია ცალკეული რაიონებისათვის, ამ ინსტრუქციის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად.

16. საკოლმეურნეო კომლის სარგებლობაში გამოყოფილი საკარმიდამო მიწა უნდა მუშავდებოდეს საკოლმეურნეო კომლის წევრთა პირადი შრომით.

III. სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის სამუშაოთა ორგანიზაცია.

17. სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობა უნდა დამთავრდეს შემოდგომის თესვის დაწყებამდე, ესე იგი აგვისტოს დამლევამდე, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ ანეული და ნაპურალი სასოფლო-სამეურნეო არტელმა მისთვის მიმავრებულ მიწაზე უკვე მიმდინარე წელს მოხსნას.

შემდეგში, სასოფლო სამეურნეო არტელში ახალი წევრების შესვლასთან დაკავშირებით, საკოლმეურნეო მასივებისათვის მიწების მიზომვა, როგორც წესი, ხენის დაწყებამდე უნდა მთავრდებოდეს.

18. რაიონში მიწათმოწყობის სამუშაოთა ხელმძღვანელობა, რაც უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის დირექტივების სისწორით შესრულებას, ეკისრება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მიწის სარაიონო კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- ა) რაიმიწვანის გამგე (მიწის კომისიის თავმჯდომარე),
- ბ) რაიმიწვათმოწყობი,
- გ) რაიაგრონომი,
- დ) მტს-ის უფროსი აგრონომი—მტს-ის სამოქმედო რაიონებში და
- ე) კოლმეურნეობათა 2 თავმჯდომარე.

19. პასუხისმგებლობა სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებში მიწათმოწყობის სამუშაოთა დროულად ჩატარებისათვის ეკისრება სასოფლო საბჭოს.

სასოფლო საბჭოს ეკისრება:

- ა) შეადგინოს საკოლმეურნეო კომლთა სიები თითოეული სასოფლო-სამეურნეო არტელის მიხედვით;
- ბ) განსაზღვროს იმ მიწების ფართობი, რაც გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო არტელს სარგებლობისათვის ამ ინსტრუქციის მე-7 პუნქტის შესაბამისად;
- გ) შეარჩიოს აგროპერსონალსა და კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად მიწის მასივები სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის;
- დ) განსაზღვროს სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის მისამავრებელი ფართობის ზომები.

20. სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის ჩატარებისას სასოფლო საბჭოს და მიწათმოწყობს შემდეგი მასალა უნდა ჰქონდეთ:

ა) საკოლმეურნეო კომლთა სია და განსაზოგადოებული მიწების სანახების მიხედვით;

ბ) კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწების ოდენობა კომლობრივ;

გ) იმ პირთა სია, რომლებმაც დაკარგეს მიწათსარგებლობის უფლება ამ ინსტრუქციის მე-7 პუნქტის მიხედვით, და მათი მიწათსარგებლობის ოდენობა სანახების მიხედვით;

დ) ცნობები საფონდო აუთვისებელი მიწების ოდენობის შესახებ;

ე) აგრონომების დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად გამოსადეგია სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის გამოყოფილი მასივები იმ კულტურებისათვის, რომლებსაც აქ აშენებენ;

ვ) წყალთა მეურნეობის წარმომადგენლის დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის გამოყოფილი მასივები წყლით (თუ მეურნეობა სარწყავია).

21. მე-20 პუნქტში აღნიშნული მასალების საფუძველზე მიწათმომწყობი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის გამოსაყოფი მიწების სიღიდეს, ადგენს კოლმეურნეობის საბოლოო მიწათსარგებლობის პროექტს და წარუდგენს მას სასოფლო საბჭოს სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის მონაწილეობით.

ამასთან პროექტს უნდა დაერთოს:

ა) კომისიის ოქმი მიწის იმ მასივების შესახებ, რაც პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადასაცემად მიწების თავმოყრის შედეგად;

ბ) მიწის გამოყოფის გეგმა;

გ) კოლმეურნეთა სია კომლობრივ, საკარმიდამო მიწებად გამოყოფილი ნაკვეთების სიღიდის აღნიშვნით სანახების მიხედვით;

დ) იმ ერთპიროვნულ მეურნეთა სია, რომელთა მიწებიც სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწების ერთიან მასივად თავმოყრის შედეგად საკოლმეურნეო ფართობში მოჰყავა;

ე) იმ ნაკვეთების სია, რომლებიც ერთპიროვნულ მეურნეობებს შორის უნდა განაწილდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწების ერთიან მასივად თავმოყრის შედეგად.

22. სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმომწყობის დროს დავის აღძვრის შემთხვევაში, დავის აღმძვრელი მხარე ვალდებულია განაცხადოს ამის შესახებ სიტყვიერად ან წერილობით სასოფლო საბჭოში არა უგვიანეს 3 დღისა და ინტერესებული მხარეებისათვის პროექტის წარდგენის შემდეგ, მიწათმომწყობი კი სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმომწყობის პროექტს დაურთავს ყველა მასალას, რაც კი დავას ეხება, საპროექტო გეგმაზე ტერიტორიის სადავო ნაწილის აღნიშვნით.



28. სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის ყველა პროექტი, სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მათი განხილვის შემდეგ, წარედგინება განსახილველად მიწის სარაიონო კომისიას.

**შენიშვნა 1.** სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის პროექტის განხილვაში აუცილებლად მონაწილეობას უნდა იღებდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სათანადო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

**შენიშვნა 2.** მიწათსარგებლობის შესახებ აღძრულ დავასთან დაკავშირებული პროექტების განხილვისას აუცილებლად გამოწვეულ უნდა იქნან დაინტერესებული მხარეები.

24. მიწის სარაიონო კომისიას სასოფლო-სამეურნეო არტელების მიწათმოწყობის განხილული პროექტები საბოლოო დამტკიცებისათვის შეაქვს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

25. მიწის სარაიონო კომისიას, იმ შემთხვევაში, თუ იგი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებას არ ეთანხმება, სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის პროექტები განსახილველად გადააქვს მიწის რესპუბლიკანურ კომისიაში.

26. მას შემდეგ, რაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის პროექტს დამტკიცებს, მიწათმოწყობის იგი ადგილზე გადააქვს და ადგენს აქტს პროექტის სისრულეში მოყვანის შესახებ. პროექტის ადგილზე გადატანის შემდეგ მიწათმოწყობი აღნიშნავს სასოფლო სამეურნეო არტელის მიწების მიჯნებს ბოძების დასმით.

27. ყოველი საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო მიწების აზომვას, საკოლმეურნეო კომლებისათვის საკარმიდამო ნაკვეთებად იმ მიწების დანაწილვას, რაც გამოყოფილია ამ მიზნისთვის, და აგრეთვე საკარმიდამო მიწების ზედ-ეტი ნაწილის ჩამოჭრას აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობა იგივე კოლმეურნეთა წრიდან გამოყოფილ მიწათმოწყობ—ტექნიკოსების მეშვეობით და მიწათმოწყობის მეთვალყურეობით, რისთვისაც იყენებს გამარტივებულ საშუალებებს (საზომი რულეტი, ლენტე).

28. იმ ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელთა მიწათსარგებლობას სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწების ერთიან მასივებად თავმოყრა შეეხო, მიწებს მიუჩენს სასოფლო საბჭო კომლამდე მიწის მითითების წესით—იმ მასალების საფუძველზე, რაც მიწათმოწყობმა ჩააბარა სასოფლო საბჭოს ამ ინსტრუქციის 21 პუნქტთან შეფარდებით.

IV. თ ე ს ლ ბ რ უ ნ ვ ი ს შ ე მ ო ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ .

29. არტელის მიწები იყოფა მინდვრებად, დამტკიცებულ თესლბრუნვასთან შეფარდებით.

თესლბრუნვის მინდვრებში თითოეულ ბრიგადას მიემაგრება მუდმივი ნაკვეთი თესლბრუნვის მთელი ვადით.

30. კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღების ხელმძღვანელობა ეკისრება სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებას, რომელსაც ამ საქმეში უშუალო მონაწილეობა უნდა მიაღებოს მტს-ების სამოქმედო რაიონებში მტს-ის დირექტორს და აგროპერსონალს.

31. სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილება კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიცემულ ტიპურ თესლბრუნვათა საფუძველზე, ყოველ ცალკეულ კოლმეურნეობისათვის მიწის საწარმოო დავალებებთან და საშუალებებთან შეფარდებით დასახავს და დაამუშავებს კონკრეტულ თესლბრუნვას.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ტიპური თესლბრუნვები არაერთარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გადატანილი კოლმეურნეობებში მექანიკურად, არამედ უნდა დაზუსტდეს აუცილებელ ცვლილებათა და შესწორებათა შეტანით, ცალკეული სასოფლო-სამეურნეო არტელების პირობებთან შეფარდებით, იმ ანგარიშით, რომ კოლმეურნეობებში შემოღებული თესლბრუნვა უზრუნველჰყოფდეს მთლიანად რაიონში სახელმწიფო გეგმიან დავალებათა შესრულებას ყველა კულტურის მიხედვით.

32. კოლმეურნეობის მემინდვრეობის ნაკვეთებში საქიროთა შემოღებულ იქნას ერთი თესლბრუნვა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწები ნიადაგის ხასიათით ერთმანერთისაგან განსხვავდება, აგრეთვე იქ, სადაც მიწები სარწყავიცაა და ურწყავიც, შეიძლება თესლბრუნვების შემოღება ცალკეული მასივების ნიადაგების სხვაობათა გათვალისწინებით.

33. იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მეცხოველეობის მსხვილი ფერმები აქვთ, საკმაო მიწების არსებობის შემთხვევაში, საქიროების დროს შეიძლება გამოიყოს მიწის განსაზღვრული ნაკვეთები, რომლებიც მიემაგრება ფერმებს და გამოყენებული იქნება ფერმის საქონლისათვის საკვები კულტურების დასათესად.

34. თესლბრუნვას და მინდვრებისა და საბრიგადო ნაკვეთების დანაწილების პროექტს განიხილავს არტელის წევრთა საერთო კრება, და, საერთო კრების მიღების შემდეგ, არტელის გამგეობა გადასცემს მას რაიმიწვანს საბოლოოდ დასამტკიცებლად.

35. სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების მიერ თესლბრუნვის პროექტის დამტკიცების შემდეგ, იგი გადატანილ უნდა იქნას ნატურაში.

თესლბრუნვის მინდვრებისა და საბრიგადო ნაკვეთების დანაწილებას გეგმაზე და თესლბრუნვის მინდვრების დანაწილებას ადგილზე ახდენს მიწათმოქმეობი, აგროპერსონალის მონაწილეობით, ხოლო საბრიგადო ნაკვეთებად ადგილზე დანაწილებას აწარმოებენ აგრონომები კოლმეურნეთა წრიდან გამოყოფილ მიწათმოქმეობ ტექნიკოსების დახმარებით.

36. თესლბრუნვის მინდვრების დანაწილება შეძლებისდაგვარად ისე უნდა მოხდეს, რომ ყველა მინდორს კარმიდამოსთან და პროდუქციის თავმოყრის

პუნქტთან მოხერხებული და უმოკლესი მისადგომი გზა ჰქონდეს, და დანაწილება შეეფერებოდეს დაპუშაგების მექანიზაციისა და სარწყავი სისტემის სისწორით გამოყენების პირობებს.

37. თესლბრუნვის ფართობი უნდა დაიყოს თანაბარი სიდიდის მინდვრებად, რომელთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მიღებულ თესლბრუნვას; ადგილის პირობების მიხედვით მინდვრების სიდიდეში შეიძლება გადახრა 5-10%-ით.

თესლბრუნვის მინდვრების საზღვრებად სასურველია გამოყენებულ იქნას ბუნებრივი ნიშნები, როგორცაა: ხრამები, მდინარეები, არხები, ვზები და სხვ.

თესლბრუნვის მინდვრების წვევრები ნატურაში აღინიშნება ხელოვნური ნიშნებით: ბოძებით, მიწაყრილებით და სხვ.

V. სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის მიწის უვადო სარგებლობის სახელმწიფო აქტების და მიწათსარგებლობის გეგმების მიცემის შესახებ.

38. ყოველ სასოფლო-სამეურნეო არტელს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს სახელმწიფო აქტს მიწის უვადო, ესე იგი სამუდამო, სარგებლობის შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია არტელის სარგებლობაში მყოფი მიწების ზომა და ზუსტი საზღვრები.

39. მიწების უვადო სარგებლობისათვის მიმაგრების სახელმწიფო აქტთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო არტელს ევალება მიწათსარგებლობის გეგმა თესლბრუნვის მინდვრების, საბრიგადო ნაკვეთების და თესლბრუნვის როტაციის (კულტურების ურთიერთ შენაცვლება სხვადასხვა წლებში) აღნიშვნით.

**შენიშვნა 1.** გეგმაზე აღნიშნულ უნდა იქნას აგრეთვე საკოლმეურნეო კომლების საკარმიდამო მიწები, რომლებიც აგეგმვის მასშტაბით შეიძლება გადაღებული იქნეს პლანშეტზე, საერთო საზღვრებში. აზომვა გადაღებულ ნაკვეთებს შიგნით საწარმოებს ლენტით; ლენტითვე იზომება მცირე ზომის განცალკევებით მდებარე საკარმიდამო მიწები. საკარმიდამო მიწების საერთო სიდიდე სანახების მიხედვით აღინიშნება ექსპლიკაციის ბოლოში.

**შენიშვნა 2.** სასოფლო-სამეურნეო არტელის განსაზოგადოებულ სარგებლობაში მყოფი მრავალწლიანი ნარგავების მცირე ზომის ნაკვეთები აიზომება ლენტით და გეგმაზე არ აღინიშნება. ნაკვეთების სახელწოდება, ზომა და ნარგავების სახე აღინიშნება ექსპლიკაციაში განსაზოგადოებულ მიწების კარში.

40. მიწების მიმაგრების სახელმწიფო აქტის მიცემის შემდეგ, კოლმეურნეობაში ახალი წევრების შესვლასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის დამატებითი მიწების გამოყოფისას, სარაიონო სამიწათმოქმედო



განყოფილება აძლევს არტელს დამატებით აქტს, სასოფლო-სამეურნეო ლისათვის მიწების მიზომებს შესახებ, მიზომილი მიწების აღნიშვნით კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის რუკაზე.

41. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წლის თებერვლის 17-ს დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებისა და კოლმეურნეობათა მტკიცე მიწათსარგებლობის 1932 წლის სექტემბრის 3-ის კანონის შესაბამისად, მიწის რაიონულ კომისიას ეკისრება:

ა) დაიცვას სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათსარგებლობის ხელუხლებლობა;

ბ) თვალყური ადევნოს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწის ერთიანი მასივი არ მცირდებოდეს, კერძოდ—კოლმეურნეობის ცალკეულ წევრთა გასვლასთან დაკავშირებით;

გ) გადაჭრას ყველა დავა მიწის შესახებ, რაც შეიძლება წამოიჭრას მიწების უვადო სარგებლობისათვის მიმაგრების სახელმწიფო აქტების გაცემის შემდეგ, კოლმეურნეობაში ახალი წევრების შესვლასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის მიწების დამატებითი მიზომვის პროცესში;

დ) თვალყური ადევნოს კოლმეურნეობის წევრებისათვის საკარმიდამო მიწების სისწორით გამოყოფას.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების

სახალხო კომისრის მოადგილე გ. გვარამია.

ფახი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ის 1935 წ. № 37. პ/მ. რედაქტორი მ. შამჩიკელი  
საქმ. მმართველობა

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 9/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VIII; ტირაჟი 2000.

მთავლ. რწმ. № 3933.

საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა.

შეკვ. № 960